№ 131. ივნისის 19, სამშაბათი. 1866—1884 ივნისის 19, სამშაბათი. № 131.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

გამოვიდა
(ცალკე წიგნად)
სამშობლო სიყვარული
მოთხრობა
ეკ. ნ. წერეთლისა
(„დროების“ ფელეტონის გამოცემა)
ფასი 30 კაპ.
(ვინც ორ ათზე მეტს იყიდის, მას 10% დაეთმობა.)
წიგნი იყიდება თბილისში ქართველ წიგნის მაღაზიაში, ჩარკვიანის მაღაზიაში და ქუთაისში ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. სხვა ქალაქებში მცხოვრებთ მოეწერება გამოგზავნება. ადრესი: «დროების» რედაქცია. (10—3)

## მუშებისადმი ზღვევის კანონი გერმანიის პარლამენტში.

თბილისი, ივნისის 19-ს.

ორთქლმა და რკინამ ევროპის ნიადაგზედ უთვალავი ქარხანები აღმოაცენა და ამ ქარხნებში რამდენიმე მილიონი მუშა დაატრიალა. 14—18 საათი დღეში და ზოგან განუწყვეტლივ დღე და ღამე მუშაობენ აურიცხველი მაშინები და მათ მოუსვენრად თავს დასტრიალებენ მუშები დაკოჟრებული ხელებით, ხშირად თავიანთ ცოლებსა და მცირე-წლოვან შვილებთან ერთად. სამძიმოა ამათი მდგომარეობა, მაგრამ ესენი დედამიწაზე მაინც დადიან და მათი ყოფა-ცხოვრება ბევრად უმჯობესია იმ ბედშავ მუშების ყოფა-ცხოვრებასთან შედარებით, რომელნიც ქვესკნელებში მუშაობენ, განსაკუთრებით ქვა-ნახშირის მაღნებში, და თვით მათივე სამუშაო იძულებულსა ჰხდის თითქმის მთელი სიცოცხლე მზისა და წმინდა ჰაერის განუცდელად გაატარონ.

თუმცა ცხოვრება ასე დედინაცვალსავით ეპყრობა ამათ, მაგრამ არის ხოლმე დრო, როდესაც მწარე ბედი უფრო უმწარდებათ, როდესაც სიბერე, ან მოულოდნელი რამ უბედურება ღონეს წაართმევს, ან დაასახიჩრებს და მით მოუსპობს ყოველსავე საშუალებას მწარე ლუკმა-პურის შოვნისასაც. ესეთი შემთხვევა განსაკუთრებით ხშირია მაღნებში, სადაც შეგროვილი გაზი ერთის ნაპერწკლის მოხვედრაზე იფეთქებს ხოლმე და სიცოცხლესთან ასალმებს რამდენსამე მუშას ერთად და უმწეოდ, უპატრონოდ ატოვებინებს საბრალო ცოლსა და შვილს.

მკითხველს დავიწყებული არ ექნება, რომ ამ გვარს მდგომარეობას ევროპაში ხშირად გამოუწვევია მუშებ შორის აღელვება, არეულობა, პირის შეკვრა, რომლის წინადაც მათ მოუთხოვნიათ ქარხნების პატრონთაგან ან სამუშაო დროს შემცირება, ან დღიური ქირის მომატება, ან სხვა რაიმე შეღავათი. თუმცა ეხლა ყველგან, განათლებულ ქვეყნებში, მუშებს ასოციაციები აქვთ შედგენილი და ერთმანეთს ეხმარებიან ამისთანა გაჭირების დროს, მაგრამ ჩვეულებრივ მაინც ვერას გახდებიან ხოლმე ქარხნის-პატრონების შეძლებასთან, რადგან პირველნი იბრძვიან დღიურ ლუკმა-პურისთვის და მეორენი საქეიფო და დროს გასატარებელ საშუალებათათვის და, რა თქმა უნდა, პირველთ უფრო მალე გაუცვდებათ საომარი იარაღი.

ესეთი არა-სასიკეთო გარემოება ისე გაძლიერდა ევროპაში, იმდენად თხოულობს იგი ასე თუ ისე რიგზე დაყენებას, რომ ყოვლად-ძლიერმა ბისმარკმაც კი მიაქცია მას თავისი ყურადღება და მუშების კეთილ-დღეობა გახადა ერთ-ერთ დედა-ბოძად, რომელზედაც ამყარებს თავის გავლენას, როგორც პარლამენტში, ისე მთელს გერმანიაში. როდესაც ამისთანა ჯიუტი კაცი რომელსამე წოდებას თავს ევლება და მამობრივ ზრუნვას უწევს,—სჩანს, საქმე სახუმარო აღარ არის და მოწიფებულს სოციალურ გარემოებას, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ამ მხრივ თუ იმ მხრივ განმარტივება და ახსნა ეჭირვება. მართლაც და უკანასკნელ წლებში ბისმარკმა თითქო დიდი გულის-ტკივილი აღმოუჩინა მუშა-ხალხს და ნიშნად ამ გულის-ტკივილისა მოინდომა გერმანიის პარლამენტში საზღვეველი კანონის გაყვანა. დედა-აზრი ამ კანონისა ის არის, რომ ქარხნის პატრონებმა შეადგინონ ფონდი, საიდამაც მუდმივი შემწეობა აძლიონ მუშებს, რომელნიც კი იძულებულნი შეიქნებიან თავი დაანებონ მუშაობას ან სიბერის გამო, ან დაუძლურებისა,

---

«დროების» ფელეტონი ივნისის 19-ს.

## ხარაბუზა და ფუტკარი.

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა,
მიაძახა: «გზა მამეო!
ვერ მიცანი, განა, ვინც ვარ?
როგორ გამეთამამეო?!

თუ ვერ ატყობ თავს, ვინცა ხარ,
ზამიგონე, რომ გითხრაო:
შენ რომ ფრთები გამოგბმია,
ღმერთიც მაშინ გაგიწყრაო!

ბზუილსა, ტყუილსა,
შხამიანსა, მკბენარსაო,
ვინ არ გიცნობს უსაქმურსა
მფრინავს—მოუსვენარსაო?!

მე კი დარბაისლად მცნობენ,
შრომისა ვარ მოყვარეო...
ჩემთვისა ვარ—არავის ვკბენ,
არ ვარ შენი მოგვარეო!

ქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ,
შენ სულ სხვა ხარ... ხომ ხედავო?
ჩამოდექი, გზა მომეცი...
ურჩობას ნუ მიბედავო!»

ფუტკარმა ეს უპასუხა:
«ნუ მაცინებ!... ხა-ხა-ხაო!
ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა,
ნეხვის ჭიად დაგსახაო!

ბევრს რომ შრომობ, ნუ თუ ჰფიქრობ
რომ მთა და ბარს ასწორებო?..
მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ,
იქვე ახლო აგორებო.

ის ხომ შენი საზრდო არის?
შენს მეტს არვის არგიაო!
შენ აკეთებ... შენვე ზიდავ...
საკუთარი ბარგიაო!

დარბაისლად იმუშავებ,
რაღად იბნევ აბა შორსო?
ყოველ ფეხის გადადგმაზე
ნახავ, გინდა, მთელ გოდორსო!

მე კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა
და სხვა გვარად მოღვაწეო:
«ზეციის მუშას» მეძახიან,
არ ვარ მარტო სამიწეო!

მისთვის დავფრენ მოუსვენრად,
რომ მოვსძებნო ყვავილიო,
გულის წვენი ამოვსწოწნო,
სამკურნალო რამ ტკბილიო.

შევუმზადო მით ქვეყანას
თაფლი—ზეცას სანთელიო,
რომ იქ წმინდად შეიწიროს
და ანათლოს აქ ბნელიო.

ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის,
ქვეყნის მტერიც ის არიო
და მისთვის მაქვს მომართული
გესლიანი ისარიო!»

ეს უთხრა და ფრთა გაშალა,
მიაშურა ყვავილებსა!
და ჩვენც ამგვარს პასუხს ვკადრებთ
ზოგიერთ ჩვენს ყმაწვილებსა.

აკაკი.

---

## სოფლის სურათი.

თონეთის (მანგლისის ახლო) სკოლის სარევიზიო ანგარიში *)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველობის მონდობილობით მე ვიყავ გაგზავნილი სოფ. თონეთს სკოლის დასახედავად. ამ თვის 4-ს დავხედე ზემოხსენებულ სკოლას, რომლის გარემოებასაც ქვემო დაწერილით მოვახსენებ მმართველობას.

აღნიშნული სკოლა გახსნილა 10-ს ნოემბერს, მაგრამ სწავლა 1-ს დეკემბრამდის არ დაწყებულა, რადგანაც ყმაწვილები სკოლაში საკმაოდ არ მოგროვილან. როგორც მასწავლებელმა და მამასახლისმა მითხრეს, საზოგადოება ძლიერ ეჭვის თვალით უცქეროდა სკოლასაო; ქალების შეყვანა სკოლაში მაინც სრულიად არ ეპიტნავათო: ვაჟები სალდათებად უნდათ, მაგრამ ქალებს რა უნდა უყონ, რომ «ანაბანას» ასწავლიანო. აი, ეს ყოფილა მიზეზი სწავლის დაგვიანებისა და ყმაწვილების მოუგროვებლობისა. 1 დეკემბრიდამ 14-დის კიდევ ვერ მოკრებილა შეგირდთა საკმაო რიცხვი, ასე რომ 14 დეკემბრამდის რიგიანი სწავლება ვერ დაუწყვია მასწავლებელს. დეკემბრის დამლევს მოსწავლეთა რიცხვი 50-მდე ასულა; ამათგან თვით მასწავლებელს დაუთხოვნია ზოგიერთნი მცირე ასაკოვნების გამო და ზოგი სხვა-და-სხვა მიზეზის გამო თვითონ გასულან სკოლიდგან, ასე რომ მთელი სასწავლო წლის განმავალობაში მხოლოდ 45-ს ყმაწვილს უსწავლია. ამათ რიცხვში 10 ქალია, 28 ვაჟი, სომეხი 7 ურევია. ჩემი მისვლის დროს სკოლაში მხოლოდ 39 ყმაწვილი იყო, დანარჩენი 6 ავად-მყოფობის გამო არ მოსულიყვნენ.

კლასში სხედან ისეთი ყმაწვილები, რომელთა წლოვანება სასკოლო ასაკოვნებას არ შეეფერება: არიან ექვსისა და ექვსი წლი-ნახევრისა; ეს იმის გამო მომხდარა, რომ მცხოვრებლები ძვირად აფასებენ ყმაწვილის შრომას სახლში და სკოლისათვის წამოზრდილ ყმაწვილს ვერ იმეტებენ, განსაკუთრებით, როცა სკოლა გაიხსნა, კალოობის დრო იყო და სკოლას სრულიად

*) ისე საინტერესოდ მიგვაჩნია ეს ანგარიში, ისეთის, თითქმის ტიპიურის, სიმართლით იხატება იმ სოფლის სურათი და ვითარება, სადაც სკოლაა გამართული, რომ არ შეგვიძლიან არ დავბეჭდოთ ჩვენს გაზეთში და არ გავუზიაროთ იგი მკითხველებსაც. ეს სკოლა «წერა-კითხვის საზოგადოების» გამართულია; რევიზორი გაგზავნა მან ამ სკოლის დასახედავად და, როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს ანგარიშიც ამ რევიზიის შედეგია.

რედ.

ან დასახიჩრებისა. მუშის სიკვდილის შემდეგ მისი უფლება „პენსიის“ აღების შესახებ გადადის მისს ცოლსა და შვილზე.

ამ კანონს დიდი ხანი ეწინააღმდეგებოდა ესრედ წოდებული პროგრესისტების პარტია პარლამენტში და ეწინააღმდეგებოდა არა იმიტომ, რომ ვითომ ბისმარკზე ნაკლებ შესტკიოდა გული მუშა-ხალხისათვის, არამედ იმიტომ, რომ არა სჯეროდა და დღესაც არა სჯერა, — მთავრობის ჩარევით ამ საქმეში სიკეთე გამოვიდეს რამე. პროგრესისტების პარტიის დედა-აზრი ის არის, რომ მუშა-ხალხმა თითონ უნდა იზრუნოს თავის თავზე და არავითარს მთავრობის აპეკას არ დაენდოს. მაგრამ ამ ორ პარტიათა შორის ბრძოლაში თითონ მოხუცი იმპერატორიც ჩაერია და ბოლონდელი სესიის დაწყებამდე წარმოსთქვა თავისი სურვილი, რომ მუშებისადმი ზღვევის კანონი უეჭველად გაყვანილ იქმნასო. იმპერატორის სიტყვას თითქმის მუქარის მნიშვნელობა ჰქონდა და პარლამენტს რომ ეს კანონი არ გაეყვანა, უეჭველია, დათხოვნილი იქმნებოდა; და აი უკანასკნელი ამბები გერმანიიდამ ამტკიცებენ, რომ იმპერატორის სიტყვას მართლაც გაუჭრია და ზღვევის კანონის საბოლოოდ დამტკიცებას ბევრი აღარა უკლიარა.

ძნელია კაცმა სთქვას, რომ საფუძვლიანად გაუმჯობესდეს მუშების მდგომარეობა ამ კანონის გაყვანის შემდეგაც, მაგრამ მთელი მისი ისტორია კი ერთს რასმეს თვალნათლივ ამტკიცებს: იმას რომ, თუ ამ კანონმაც შეღავათი არა მისცა-რა მუშების უკიდურესს მდგომარეობას, მაშინ აუცილებლად სხვაფრივ უნდა ეშველოს საქმეს, სხვა გზა მოენახოს, თორემ, თვით ბისმარკისა და იმპერატორის ვილჰელმის საქმეში ჩარევა გვეუბნება, რომ მართლა საქმე სახუმარი აღარ არისო.

## შინაური ქრონიკა.

— ჩვენ გვატყობინებენ შემდეგს გარემოებას: ივნისის 13-ს თბილისის სახელოსნო გამგეობაში იყვნენ მიწვეულნი ამქრების უსტაბაშები, რომელთაც უნდა გაესინჯათ დავთრები, შეემოწმებინათ იგინი და დარწმუნებულიყვნენ, რომ ყოველივე საქმე სისწორით და კარგად წარმოებულა. ხელოსანთა თავს ბ. ნ—კოს ჰგონებია, რომ მხოლოდ თვალთათვის გაისინჯება დავთრებიო, მაგრამ, როცა დაუნახავს, რომ უსტაბაშები არა ხუმრობენ, ნამდვილის რევიზიის მოხდენა სწადიანთ, რომ ამისათვის კომისიას არჩევენ და ამ კომისიაში მექუდე კ. ი—ვიც მოჰყვა, ნა—კოს სწყენია. გაჯავრებული დაუწყვია ლაპარაკი და უთქვამს ხელოსნებისათვის— ჯერ ნედოიმკები შემოიტანეთ და მერე ანგარიში ისე მომთხოვეთო, შეურაცხყოფისათვის სასამართლოში გიჩივლებთო.

«ძალიანია, სწორედ— გვწერს ერთი ხელოსანთაგანი— ნედოიმკაც ჩვენია, ფულიცა და ყველა ვალიც. ეს იმასა ჰგავს, ქართველმა რომ თათარზე თქვა: „ეს თათარი ჩემს ტომარას თავის საცოლოს ეძახისო“... იცის ალბად ბ-ნმა ნ—კომ, რომ მექუდე პ. ი—ვი ისე ველარ მოტყუვდება, როგორც ამ თერამეტ წელში ტყუვდებოდა, სხვა უსტაბაშები და იმიტომ წაიკიდა ცეცხლი!?

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ქ. ვლადიკავკაზში თითქმის სამასამდე ქართველი მოსახლე ითვლება. მათ რიცხვში ზოგნი თერგის ხეობიდამ არიან იქ გადასახლებულნი, ზოგი რაჭიდამ. ამ ქართველობას განუზრახავს ქ. ვლადიკავკაზში პირველ-დაწყებითი სკოლის დაარსება და ამ აზრით მიუმართავს «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის», რათა მან შემწეობა აღმოუჩინოს ამ კეთილ საქმეში და იტვირთოს სკოლის გამართვა და წარმოება.

— ქართლიდამ გვწერენ, რომ იქ დაუსეტყვია ამ დღეებში სოფ. ახალქალაქს გარდა, რომელსაც ამას წინად დაჰკრა სეტყვამ, ხოვლე, ყარალაჯი, მეტეხი, ბოში და ქასპი.

— ერთი ნემეცურის გაზეთის სიტყვით, მდ. ტიგროსის მარჯვენა მხარეზე, ქ. ბაღდადის ახლო, საშინელი გადამდები ავადმყოფობა გაჩენილა, რომელიც თეირანში ჭამად უცვნიათ. ოსმალეთის მთავრობას დიდხანს ხმა არ ამოუღია ამ ავადმყოფობაზე. ეხლა გაზ. «ყარსსაც“ შეუტყვია ეს ამბავი და სწერს, რომ სპარსეთის მთავრობას ყოველ-გვარი საშუალება უხმარნია, რათა მისვლა-მოსვლა შესწყვიტოს ავადმყოფობით მოდებულ ქვეყანასთან. გაზეთი თავის მხრით ამბობს კიდევ, რომ ქ. ბაქოს გუბერნატორს უკვე აღუკრძალავს სამღვარ-გარედ წასასვლელი პასპორტების მიცემა იმ პირთათვის, რომელნიც ქერბალის მიდიან სალოცავად.

— «მოსკოვის უწყებათა“ სიტყვით, უკანასკნელ დღეებში ზოგიერთა პეტერბურგის დუქნებს შაქარი გაუიაფებიათ და 18 კაპ. მაგიერად 17 კაპეიკად გაუყიდნიათ გირვანქა. გაზ. «ნოვოსტი» ამბობს, რომ ამ ცოტა ხანში შაქრის ფასს ერთს კაპეიკს კიდევ დაუკლებენო. ლაპარაკობენ აგრეთვე ფხვნილის შაქრის გაიაფებაზე.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთის 115 №-ში არის დაბეჭდილი პატარა შენიშვნა იმაზედ, ვითომც თქვენ მიგელოსთ ერთი რაჭის აზნაურთა კომისიის წევრის თ. ა. ერისთვის წერილი, რომელშიაც იგი უსაყვედურებს ერთს კომისიის წევრთაგანს, არაერთხელ დასახელებულს თქვენს გაზეთში, კომისიის საიდუმლოს გამჟღავნებას და შფოთის და უსიამოვნების ჩამოგდებას კომისიის წევრთა და მათგან დასახელებულ მავნე პირთა შორის. ამ გვარი ენა-ტანიობის შედეგი ის იყოს, ამბობს წერილის დამწერი, რომ ერთი წევრი კომისიისა გადასწვესო.

დარწმუნებული ვარ, ბატონო რედაქტორო, თქვენ, რომ ჩვენი რაჭის საქმეები იცოდეთ დაწვრილებით, უფრო დაკვირებით და სიფრთხილით დაბეჭდავთ ზოგიერთი ჩვენებური სა-

---

მცირე წლოვანი ყმაწვილები მოაწყდენო, მითხრა მასწავლებელმა. ყმაწვილების უმეტესობა ფეხშიშველი დაიარება. თმა გაკრეჭილი აქვთ, მაგრამ ძველებურად: შუბლზე და საფეთქლებთან ორ-ორ გოჯზე ჰკიდიათ თმები. ბევრჯერ ჩაუგონებია მასწავლებელს ამ ჩვეულების მოსპობა (?), მაგრამ მცხოვრებთ სასოფლო დალაქი ჰყოლიათ, რომელსაც არ უნდა თურმე თავის ხელობას უღალატოს და მასწავლებლის ნებაზე შესცვალოს თავის ხელობის წესი. როგორც მიკრეჭია, ისე გავკრეჭო, ამბობს თურმე. ბალღები ორის მეტი თავმოსახვევებით იყვნენ, სამს გარდა ფეხშიშველი დადიოდენ. ჩემი მისვლის მეორე დღეს ერთის მეტს აღარ ეხურა თავ-მოსახვევი; ფეხ-ჩაცმულნი მოვიდენ და უფრო დავარცხნილ-დაწმენდილნიც იყვნენ. დისციპლინა მეტის მეტადაა დაცული. ერთი ერთმანეთის ჩურჩული და სწავლება, რომელიც მრავალს სასწავლებელს ჰღუპავს, აქ სრულიად არ ხდება; ნაკვეთილის ახსნისა და კითხვის დროს კლასებში სასურველი სიჩუმეა ხოლმე.

I

1) დედა-ენიდამ მხოლოდ 50 ფურცელი გაუვლიათ ზედ მიყოლით და ამას გარდა აქა-იქ სასიმღერო ლექსებიც უსწავლიათ, მაგალითად, «ავთანდილ გადინადირა» და სხვანი; ზემოხსენებული მასალა შეგნებით შეუსწავლიათ ყმაწვილებს. ყმაწვილები ლექსებს გარკვევით და მკაფიოდ კითხულობენ წიგნში და ზეპირად.

2) საღმრთო წერილიდამ შეუსწავლიათ ძველი აღთქმისა ქვეყნის გაჩენიდამ ებრაელების ეგვიპტიდამ გამოსვლამდის და ახალი აღთქმისა მირქმამდის. შეუსწავლიათ საზეპირო ლოცვები: სწავლის დაწყების და გათავების ლოცვები, ლოცვა დასაწყისი და სულის წმიდისადმი, მეზვერის ლოცვა, წმიდაო ღმერთო და დიდება მამასა.

3) არითმეტიკიდამ შეუსწავლიათ რიცხვი 16-ტი ასახსნელთა გამოცანათა ზედ დართვით იმ პლანზე, როგორც ევტუშევსკის სახელმძღვანელოშია დაწყობილი სასწავლო მასალა.

4) თვალსაჩინო სწავლიდამ სურათზე შეუსწავლებია ყველა შინაური ცხოველები, ფრინველები, სასწავლო ნივთები, საკლასო ოთახი და სასკოლო სახლი. სახელმძღვანელოდ დისტერვეგის წიგნი უხმარია და სურათები იაბლონსკის: „міръ въ картинахъ“ ჰქონია.

5) გალობით შეუსწავლიათ საერო სიმღერები: ავთანდილ გადინადირა, კურდღელი ჩამოცანცალდა, ყანა, ტყეს ესხმება ფოთოლი, წყალსა მოჰქონდა ნაფოტი, თხა (ჩემსა ბებიას), ედემი (სიზმრადა ვნახე), ალვის ხე წამოქცეულა (ივა-ნანას ხმაზე), სიმღერა (მოდი-ვნახოთ ვენახი). საეკლესიო გალობიდამ: უფალო შეგვიწყალე (სამჯერ გამეორებით), ამინ, მოგვმადლე უფალო, შენ უფალო, დიდება შენდა უფალო, დიდება შენდა, დასულისაცა შენისათანა და აღდგომის ტროპარი— ქრისტე აღსდგა მკვდრეთით. ეს საგალობლები, ხუთჯერ თუ რვაჯერ, 16 ქალ-ვაჟს ეკლესიაში უგალობნიათ. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გარემოებას მცხოვრებლებზე ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია. განსაკუთრებით ქალების გალობას აღტაცებაში მოუყვანია მცხოვრებლები. აქაურ მცხოვრებთა უმეტესობა ქალებს ისე ეპყრობიან თურმე, როგორც სამაჰმადიანოში. ერთმა მოხუცმა გვიამბო, რომ ოც-დახუთის წლის პატარძალია ჩვენს ოჯახში და მისი ხმა ერთჯერაც არ გამიგონიაო. მამამთილთან რძალი კრძალვით უნდა იქცეოდესო. ამ გვარ ხალხისათვის, რაღა თქმა უნდა, ეკლესიაში ქალის გალობა საკვირველი იქნებოდა.

6) წერა და ხატვა ასპიდის დაფებზე უწარმოებია მასწავლებელს. შამისობა არ შეიძლებოდაო, მითხრა მასწავლებელმა, რადგანაც ერთის მხრით სწავლა გვიან დავიწყეთ და მეორეს მხრით დახაზული რვეულები და კალმის ტარები დროზე არ მომსვლიათ. მართალია, გამოგზავნეს დაუხაზავი ქაღალდი, მაგრამ ქაღალდის დახაზვას სახაზველები ეჭირვებოდა და ხაზვის შესწავლაცაო და ორივეს კი დიდი დრო ეჭირვებოდაო.

7) ხატვა იმ წესზე ჰქონია მოწყობილი, როგორც საკოვნინის სახელმძღვანელოშია სახატავი მასალა, მაგრამ წარმატებით ვერ წაუყვანია დაფების უერთნაირობის გამო. სხვათაშორის, ამის მიზეზი ისიც ყოფილა, რომ მცხოვრებლებს არაფრად ეჭაშნიკათ თურმე ხატვა: რა საჭიროა ხაზების ფხაჭნაო, გაიძახოდენ თურმე მშობლები.

8) გიმნასტიკიდამ რაოდენიმე ელემენტარული მოძრაობა უვარჯიშებია, თუმცაღა მშობლები ამ ვარჯიშს ადრეც და ეხლაც ეჭვის თვალით შესცქერიან: ვაი თუ ჩვენს შვილებს სალდათობა ასწავლონო.

9) მასწავლებელი ექსკურსიადაც გასულა მოსწავლეებითურთ სოფელს გარეთ, უჩვენებია ქვეყნის უმთავრესი მხარეები, მთები, ხეობანი, ტყეები, ბარი და მინდვრები, მდინარეები და წყარონი.

(შემდეგი იქნება)

ექვე კორესპონდენტების წერილებს, მაგრამ აქ თქვენ გასამტყუნარი არა ბრძანდებით.

რედაქტორი გულთმისანი არ არის და არც საშუალება აქვს ყველაფერს, რასაც მას ჰსწერენ, ნამდვილ ფაქტებს შეუმოწმოს. რაც სხვა და სხვა ადგილიდგან გაგზავნილი ამბები გაზეთებში იბეჭდება, ყვალას გამოკვლევა და ადგილობრივ გამოძიება რომ რედაქტორს ვალად ედოს დაბეჭდვამდე, დარწმუნებული ვარ, რაც ახლა იბეჭდება, მისი მეასედი ნაწილიც არ დაიბეჭდებოდა და ბევრი ბოროტებაც დარჩებოდა დაფარული და გამოუაშკარავებელი. ამას რედაქტორს არავინ მოსთხოვს და მოუხერხებელიც არის. ზემოხსენებული ამბების სინამდვილე არის დამოკიდებული კორესპონდენტების პატიოსნობაზე და სინიდისზე და თუ ისინი ამ ღირსებას არიან მოკლებულნი, მაშინ უსათუოდ რედაქტორებიც და მკითხველებიც მოტყუებულნი დარჩებიან და ამასთან ბევრი უმანკო და პატიოსანი პირნიც პირადი მტრობის და ცილის-წამების მსხვერპლნი გახდებიან.

ავიღოთ, თუ გინდ, თ. ა. ერისთავის წერილი. თ. ა. ერისთავი ისეთი პირი გახლავთ, რომელსაც, არა თუ რედაქტორებთან წერილების წერა, თავის სახელის და გვარის დაწერაც კი ეძნელება (ამას დაგარწმუნებენ, თუ ისურვებთ, რაჭველი ახალგაზდა განათლებული პირნი, რომელნიც დღეს თბილისში სცხოვრებენ და რომელთაც, ეჭვი არა მაქვს, იცნობთ თქვენც). იმას სრულებით ფიქრიდაც არ მოუვიდოდა თქვენთან წერილის გამოგზავნა, მაგრამ ჩვენა გვგონია, რომ აქ ისეთი მიზეზები უნდა იყოს, რომელნიც თქვენთვის ჯერ გაუგებარნი არიან, ბ. რედაქტორო! მაგრამ ვინც ჩვენი რაჭის საქმეებთან დაახლოვებულია, მისთვის ყველაფერი ცხადია.. ერისთავი, მართალია, კომისიის წევრად იყო დანიშნული, მაგრამ მისი მოქმედება ისეთი შეუსაბამო იყო აზნაურების კრების დროს, რომ, ცოტა გაწყდა, თავისმა ამხანაგებმა-წევრებმა გამოაბრძანეს გარედ; ამაზე ვიმოწმებ თვითონ კრების თავსმჯდომარეს მაზრის მარშალს და სხვა წევრებს. ბ. ასლან ერისთვის მოქმედებაზე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაწვრილებით შემდეგში მოვილაპარაკებ, ახლა კი ორიოდე სიტყვას მის(?) წერილზე ვიტყვი.

ვინ არის ის უსინიდისო პირი, რომელმაც თავის ენატანიობით შური და უთანხმოება ჩამოაგდო კომისიის წევრთა შორის? ვინ არის ის არაწმინდა უპატიოსნო კაცი, რომელიც გახდა ყოველის მხრით პატიოსანის და მშვიდობიანის დიმიტრი ბაქრაძის გადაწვის მიზეზად? — თ. ას. ერისთავის (ასე ვსთქვათ, რადგან წერილს ერისთვის სახელი აწერია) სიტყვით, ამ უბედურების მიზეზი უნდა იყოს ერთი კომისიის წევრთაგანი, რომელიც არა ერთხელ იყო გაზეთ „დროებაში“ ნახსენები. ახლა დავფიქრდეთ, ბატონო, რომელი წევრი იყო ნახსენები „დროებაში“, და მაშინ უსათუოდ იცნობთ იმ ბოროტს პირს, რომელსაც ერისთავი ესაყვედურება. თქვენს გაზეთში, ბ. რედაქტორო, ჩემს მეტი რაჭის აზნაურთა კომისიის წევრთაგანი არავინა ყოფილა მოხსენებული; მაშასადამე მე ვყოფილვარ მიზეზი ბაქრაძის გადაწვისა.

მე მახსენეს იმ ბოროტმა პირებმა, რომელნიც ბელოვანისა არ იყვეს, დღეს ასლან ერისთავს ამოჰფარებიან ზურგს უკან, მაგრამ იმედი მაქვს თქვენც მალე დაგარწმუნოთ, არა ცარიელი სიტყვებით, რომ რაც ჩემზე სთქვეს, ყველაფერი ცილის წამება და სიცრუე იყო.

ვინც იცნობს რაჭას, მეც მიცნობს და იმედი მაქვს ეს მოჭახრაკებული ნაწერები, ვერ დამამცირებენ ნაცნობების თვალში. მე რომ ვსთქვა, ასლან ერისთავმა გადაასხა ნავთი ბაქრაძის სახლს და მისცა ცეცხლი მეთქი, — ვინ დამიჯერებს?

თუ ჩემი ენატანიობა იყო მიზეზი ბაქრაძის გადაწვისა, ამას ვინ უფრო უნდა გრძნობდეს და მესაყვედურებოდეს: თვითონ ბაქრაძე, თუ ერისთავი? არა ბატონებო, ეს მოხერხებაა, მოხერხება, მაგრამ ამითი არაფერი გამოვა და მე კიდევ მაინც ჩემს თავს ბედნიერად ვსთვლი, „მისთვის, რომ უმეტესი ნაწილი იმ ხელით და საქმით ბინძურის პირებისა, რომელნიც ჩემის თვალის წინ 12 წლის განმავლობაში ჰგლეჯდენ და რყვნიდენ რაჭის მცხოვრებლებს, გამოაშკარავდენ და განდევნილ იქმნენ. მართალია, ჯერ თავი ბოროტებისა კიდევ ცოცხალია, მაგრამ ვაი ამისთანა სიცოცხლეს — დღეს არის თუ ხვალ, სულს დალევს და მაშინ ეშველება რაჭას.*)

თუ ეს ასე არ არის, იმათ გამამტყუნონ, ვისაც დაეჯერება რამე და და არა იმათ, რომელნიც სხვისი სახელით გამოდიან სალიტერატურო ასპარეზზედ და იძახიან ცარიელი სიტყვებით, რომ ერთმა წევრმა ამისთანა და ამისთანა ცუდი საქმე ჩაიდინაო. კიდევ არ ვკარგავ იმედს, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, თქვენც გაიგებთ ჩემს სიმართლეს. ახლა, თქვენ იცით: თუ დაბეჭდავთ ამ ჩემს წერილს — კარგი იქმნება, თუ არ დაბეჭდავთ და თქვენი ნებაა, მეტს აღარას ვიტყვი.

ალექსანდრე წულუკიძე.

ივნისის 9. დ. ონი.

---

*) აქ ცოლწილ-სიკვდილზე არ მოგახსენებთ; საქმე იქამდის არის მისული, რომ ამ ბოროტების თავსაც მალე დაინახავს საზოგადოება და ისე განდევნის, როგორც სამიოდე სხვა განიდევნა. ავტ.

---

ბ. რედაქტორო!

«დროების» მე-127 ნომერში მცირედი შეცდომილება არის გორის სასულიერო სასწავლებლის შესახებ; იქ არის გამოცხადებული, რომ ხსენებულს სასწავლებელში წლეულ დასრულეს სწავლა ცხრა მოსწავლემ: ექვსმა ქართველმა და სამმა ბერძენმა; გაზეთი აცხადებს, რომ ექვსივე ქართველი გადიყვანეს თბილისის სემინარიის პირველ კლასშიო და აღარას ამბობს სამს ბერძენზედ.

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ გორის სასულიერო სასწავლებლიდამ წლეულ გადაიყვანეს თბილისის სემინარიის პირველ კლასში ექვსი ქართველი და ორი ბერძენი.

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.

დავით დათოშვილი.

ივნისის 15.

---

## რუსეთი

ამ მოკლე ხანში რამდენიმე ენტომოლოგს (მწერების ცხოვრების გამომკვლეველნი) განუძრახავთ ენტომოლოგიური მხრით რამდენიმე გუბერნიების გულ-დასმით და დალაგებით გამოკვლევა. განსაკუთრებითი ყურადღება მავნე მწერებზე ექნებათ მიქცეული და ამასთანავე ეპირებიან მუდმივ ადგილობრივ მწერთა გვაროვნობის გამოკვლევას მიჰყონ ხელი და ცნობანი შეაგროვონ იმ მწერებზედაც, რომელნიც დრო გამოშვებით ჩნდებიან და რომელთაც საზარალო გავლენა აქვთ, როგორც ადგილობრივ კულტურაზე, ისე, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაზე. სხვათა შორის, აპირობენ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ იმ სხვა-და-სხვა გვარ მწერებსაც, რომელნიც ყირიმის ნახევარ-კუნძულის ტყე და ბაღებში გაჩენილან და რომლებისაგანაც ზიანდებიან ტყის ხეები და ხეხილები ხომ სულ ნადგურდებიან. ამასთანავე უნდათ გამოიკვლიონ, თუ რა შედეგი მოსდევს ტყის გაჩეხის და ფრინველების ხოცვას მწერების გავრცელების საქმეში.

—

რამოდენიმე დღეა, რაც მოსკოვში გავრცელებული ხმები ურიების ცემის შესახებ ნიჟნი-ნოვგოროდში «რუსულ უწყებათა» კორესპონდენტების ცნობებით, მართლდება. წინად კი ეს გავრცელებული ხმები ტყუილი ეგონათ, რადგანაც ნიჟნი-ნოვგოროდში ცოტაა ურიების რიცხვი. ერთი კორესპონდენტი იწერება შემდეგს: „7 თიბათვეს, $8^1/_2$ საათზე, კუნავინში გავრცელდა ხმა, რომ ურიებმა ქრისტიანის სამი-წლის ბავშვი მოიპარეს და თორაში (სინაგოგა) წაიყვანესო. ამ ამბისა გამო თორის პირ-და-პირ ქუჩაზე შეიკრიფა ხალხი. ადგილობრივმა (კუნავინის) პოლიციამ ვერ შესძლო ხალხის გაფანტვა, რადგანაც ხალხის რიცხვთან შედარებით მისი ძალა ძალიან მცირე იყო; მაშინვე ქალაქის უმთავრესს ადმინისტრაციას შეატყობინეს, მაგრამ ამანაც ვერ მოასწრო საჩქაროდ მიშველება მდ. ოკაზედ მუდმივი ხიდის უქონელობისა გამო. აღელვებულმა ხალხმა დაიჭირა ერთი ახალ-გაზდა ქუჩაზე მოსიარულე ურია და დაუწყო ცემა. გაბრაზებული ხალხი თორას მივარდა, ეწყო ქვის სროლა და ფანჯრები ჩალეწეს; შეცვივდნენ თორაში, მცხოვრებლები იპოვნეს ჩარდახში და დაიწყო იმათი უბედურობა...

შემდეგ ერთი ჯგუფი ხალხისა ხიდის ამშენებლის მოიჯარადრე ურიის სახლს ეცემა, ფანჯრებს ჩაამტვრევს და თვით ოჯახობას ცემით მიამკვდარებს. აქედგან სხვა ურიების სადგურებისკენ გასწევენ და იქაც ყველაფერს მილეწენ. შემდეგში ექვსი სახლი აღმოჩნდა ამ გვარად ჩალეწილი, ცხრა ურია მომკვდარა და რამდენიმე დამახინჯებულა. მილეწილი სახლების ქონება ქუჩაზე იყო გაფანტული და ტალახში ამოგანგლული; დახეული ბალიშებით და ბუმბულით ქუჩა იყო გამსილი, ავეჯი ლუკმა-ლუკა ნაქცევი. ამ უწესოებაში ურიებს ერთი-ბეწვა წინააღმდეგობა არ გამოუჩენიათ, რადგანაც კუნავინში 10 თუ 15 კომლი ურია დგას; ამ მცირე რიცხვს რა შეეძლო ას კაცთან. ჯარის დახმარების შემდეგ ხალხი გაფანტეს; გამოძიებამ აღმოაჩინა ექვსი მოკლული კაცი და რვა დაჭრილი.

—

გაზ. «ეხოში» სწერია: პოლიტიკურს დამნაშავეს დეგაევს, რომელსაც აბრალებენ პოლკოვნიკის სუდეიკინის მოკვლას, ეხლა, ერთის ინგლისურის გაზეთის სიტყვით, სხვა კაცის სახელი და გვარი მიუთვისებია და გერმანიაში ცხოვრობსო; გერმანიის მთავრობას აზრად აქვს შეიპყრას იგი და გადასცეს რუსეთის მმართველობასაო.

---

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივნისის 16-ს.

ბერლინი. მინისტრმა ბიტტიჰერმა ხოლერის შესახებ სთქვა რეიხსტაგში, რომ ჯერ ნამდვილი ცნობები არ გვაქვს მიღებული ტულონში გაჩენილი ხოლერის თვისებაზედაო; მაგრამ, როგორც ეტყობა, სპორადიული ხასიათი აქვს, ავრე რიგად საშიშარი არ არის და მმართებლობას იმედი აქვს, სანიტარული კორდონი არ დააწესოს და მარტო გემების, მგზავრების და ბარგის სინჯვით განირინოს ამ სნეულების შემოტანაო; ვირხოვმა შენიშნა, რომ ტულონში აზიური ხოლერაა და საფრანგეთის მმართებლობა არავითარ გასათრთხილებელს საშუალებას არ ხმარობსო; ბიტტიჰერმა მიუგო ვირხოვს, რომ საფრანგეთი ჰიგიენურ საშუალებათა ხმარებას შეუდგაო. ამ ბაასის შემდეგ რეიხსტაგის სესია დაიხურა.

მარსელი. აქ სამი საეჭვო სიკვდილის შემთხვევა იყო.

ივნისის 17-ს

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა მემკვიდრე ცესარევიჩითურთ, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრესძითა და ედინბურგის ჰერცოგინიითურთ წავიდნენ პეტერგოფიდგან იმპერატორის იახტით „ცარევნათი“ ფინლიანდიის შხერებში; სეირნობა რამდენსამე დღეს გაგრძელდება. «ცარევნას» თან მისდევენ იახტები: «სლავიანკა» და «მარევო».

გუშინ, შემდეგ პანაშვიდისა, რომელიც გადაიხადეს ვოლკოვის სასაფლაოს ეკლესიაში მრავალთა ლიტერატორთა, ქალაქის თავის და სხვა პირთა თანადასწრებით, აკურთხეს ძეგლი ტურგენიევის საფლავზედ. ძეგლი ძლიერ მარტივად არის აგებული და შესდგება მარტო ერთი ქვისაგან, რომელსაც ზედ აწერია: „ივანე სერგეისძე ტურგენიევი“ და ქვეშაც უწერია ციფრები 1818–1883.

**ნოვოჩერკასკი.** გუშინ, ნოვოჩერკასკის მახლობლად, ერთმანეთს შეეტაკნენ მორიგი (дежурный) ორთქლით მატარებელი და მგზავრების მატარებელი; შვიდი ვაგონი სრულებით დაიმტვრა, სამი დაზიანდა, არტელშჩიკი და კონდუქტორი დაშავდნენ; გზა გაფუჭებულია.

**პარიჟი.** ტონკინში მომხდარ შემთხვევათა გამო ტულონში ამზადებენ ორს სატრანსპორტო გემს; საფრანგეთის ელჩს პეკინში ბძანება მისწერეს, რომ ძრიელ სასტიკ საშუალებათ მიმართოს კურბეს ესკადრის დახმარებით, თუ ჩინეთი არ შეასრულებს საფრანგეთის წინადადებას; ტონკინში ომიანობა განახლდა; ფრანცუზები მიდიან თავ-დასასხმელად, მაგრამ სიარულს ეძნელებს ცუდი გზა და წყალდიდობა.

ივნისის 15 ტულონში ექვსი კაცი მოკვდა გადამდები ავად-მყოფობისაგან და მარსელშიაც გუშინ სამი კაცი გახდა ავად.

**ლონდონი.** გუშინ სამ საათზე შუა-დღის შემდეგ დაიწყო კონფერენცია ეგვიპტის საქმეთა შესახებ; კონფერენციაზე იყვნენ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და მათნი თანაშემწენი.

გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ კონფერენციაზე წაუკითხეს ინგლისის პროექტი შესახებ ეგვიპტის ფინანსთა საქმეთა მოწყობისა; პროექტის აზრი ის არის, რომ ზოგიერთა ეგვიპტის ვალებს სარგებელი მოაკლდეს; უნდა მოაკლდეს სარგებელი აგრეთვე სუეცის არხის აქციებსაც, რომელნიც ინგლისის მმართებლობის ხელში არიან; ინგლისი აძლევს ეგვიპტეს სესხად 8 მილ. გირ. სტერ. იმ პირთა დასარიგებლად, რომელთაც ეგვიპტეში რაიმე ზარალი მიეცათ და აგრეთვე სხვა ხარჯების დასაფარავად; პროექტის აზრით ეგვიპტეში დაწესებული გარდასახადი უნდა შემცირდეს 3½ ანუ 4 მილ. გირ. სტერლინგით.

**ტულონი.** გუშინ ერთი კაცი აქ მოკვდა ხოლერით და ერთი მარსელში.

ივნისის 18-ს

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა 20,000 მან. უბოძა წყალდიდობისაგან დაზარალებულთ შესაწევნელად პრივისლიანის ქვეყანაში.

**ოდესა.** რადგანაც ინდოეთში რამდენიმე შემთხვევა მოხდა ხოლერით სიკვდილისა, ამისათვის ოდესაში გამართულ იქმნა ერთი დღე და ღამის ობსერვაციები იმ გემებისათვის, რომელნიც ჩინეთიდამ და ინდოეთიდამ მომავლობენ კარგის პატენტებით, ხოლო თოთხმეტი დღის ობსერვაციას უნდა დაექვემდებარონ ისინი, რომელთაც საეჭვო პატენტები აქვთ; ის გემები კი, რომელნიც ალექსანდრიასა და პორტსაიდიდამ გამოსულან, სადაც ობსერვაციებია გამართული ჩინეთიდამ და ინდოეთიდამ მომავალ გემებისათვის, ოდესაში მხოლოდ ექიმებისაგან უნდა იქმნან გაშინჯულნი.

**პარიჟი.** ტულონში 17, საღამოს 6 საათიდამ მეორე დღის სადილობამდე ოთხი შემთხვევა იყო სიკვდილისა ხოლერისაგან; ხოლო მარსელში გუშინ არც ერთი არ მომკვდარა.


# განცხადებანი

რადგანაც «დრამატიული საზოგადოების» კრებაზედ, რომელიც დანიშნული იყო თიბათვის 14-სათვის, საკმაო წევრნი არ დაესწრნენ, დანიშნულ იქმნა თიბათვის 28-სათვის მეორე კრება, რომელიც კანონიერი იქმნება რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს. კრება იქმნება «წერა-კითხვის საზოგადოების» სადგომში, საღამოს 7 საათზედ.

(3–3)

გამოვიდა და ისყიდება:

**ბ ა ნ ქ ი ც ხ უ ლ ი.**

მოთხრობა

ა. მ. მოხნხუბარიძისა (უაზნევგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შავერდოვის წიგნების სააგენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

(20–17)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი მოსკოვის ჩაის

| | |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1–20 | — — 1–60 |
| — — 1–40 | — — 1–80 |
| — — 1–60 | — — 2 — ,, |
| — — 1–80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2 — ,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, კასსეროლები, დანები, კოვზები, ტაშტები, ჯამები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100–38)

## ვ ა ჭ რ ო ბ ა ს ა ლ ე ბ ა ვ ე ბ ი თ

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**სალებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სალებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუყოვნებლად.

(70–13)

## ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი,

თ მ ი ს - ა მ ო მ ყ ვ ა ნ ი მ ა კ - მ ა ს ტ ე რ ი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100–42)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.


## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 ივნისიდამ 1 ივლისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გამომცხვარი პური რუ-** | | | |
| სეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| **აჯაურის ფქვილისა: პირ-** | | | |
| ველის ხარისხისა— | —1 | გ. | 2½ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | 4½ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | 2½ |
| **ჭვავის-მაძი პური:** | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3½ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(საშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 18 Іюня 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.